პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 145 (10539)
შაბათი
23
ივნისი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დაე ცოცხლობდეს და იფურჩქნებოდეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ძმური მეგობრობა

მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში, გულახდილობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელთა საუბრებმა შესაძლებელი გახადა აზრთა ფართო გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობაზე, აგრეთვე ორივე ქვეყნის ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. გამოვლინდა ორი მთავრობის თვალსაზრისთა ფართო მსგავსება საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებისა და არსებული საერთაშორისო პრობლემების შეფასებაში, აგრეთვე საერთო სურვილი შემდეგშიც გაალრმავონ ურთიერთგაგება და მეგობრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის.

მთლიანად აღდგენილია დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ იუგოსლავიას შორის. ეს მომხდარი ისტორიული ფაქტია, რომელიც მოწმობს სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების ახალ დიდ გამარჯვებას, იმას, რომ საერთაშორისო განვითარების თანამედროვე რთულ პირობებში უელმობლად იმარჯვებს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიადი კომუნისტური იდეა.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს, აგრეთვე სოციალისტური იუგოსლავიის თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეების ამხანაგების ე. კარდელის, კ. პო

პარტიული ცხოვრება

კომუნისტების აღზრდის სკოლა

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელების ამოცანა მოითხოვს, რომ თვითეული პარტიული ორგანიზაცია ეწეოდეს აქტიურ, მებრძოლ ცხოვრებას, სულ უფრო განამტკიცებდეს თავის კავშირს მასებთან, ავითვისებდეს მათს ინიციატივას პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა და კომუნისტების აქტივობის განვითარების ნაცადი საშუალებაა შინაპარტიული დემოკრატიის თანმიმდევრულად განხორციელება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, პარტიული ცხოვრების ნორმების მტკიცედ დაცვა. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პარტიულ კრებებს, მათს მომზადებას და ჩატარებას. პარტიული კრება პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა. იგი განიხილავს ყველა არსებითს საკითხს, რომელიც ცხოვრებამ დააყენა პარტიული ორგანიზაციის წინაშე, იღებს სათანადო დადგენილებას, რომლის შესრულება სავალდებულოა ორგანიზაციის ყველა წევრისათვის.

ქალაქ ტყვარჩელის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიულ კრებებს გულმოდგინედ ამზადებენ და მაღალ დონეზე ატარებენ. სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებისათვის საკითხის მომზადებაში ყველა კომუნისტი მონაწილეობს. როდესაც საბოლოოდ შეისწავლიან საკითხს, კრებამდე რამდენიმე დღით ადრე აკრავენ განცხადებას კრების მოწვევის შესახებ, სადაც ზუსტად აღინიშნება მისი ჩატარების დრო და ადგილი, დღის წესრიგი. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს კომუნისტებს გულდასმით მოემზადონ კრებისათვის, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში.

შარშან თბოელექტროსადგურში წარმოების კულტურა დაბალ დონეზე იდგა. ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით პარტბიურომ გადაწყვიტა საკითხი ღია პარტიულ კრებაზე გამოეტანა. საკითხის მომზადება დაევალათ კომუნისტებს — თბოელექტროსადგურის მთავარ ინჟინერს მ. რატიანს, ელექტროსაამქროს უფროსს კ. ქუთათელაძეს, საქვაბე საამქროს უფროს მემანქანეს გ. ჭკადუას, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს ი. გელაშვილს, ინსპექტორს წარმოების ექსპლოატაციის დარგში ვ. ჯაბაიას და შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსს უპარტიო აქტივისტ პ. ქუჩუბერიას. პარტბიუროომ წინასწარ შეკრიბა აღნიშნული ამხანაგები, გაუწია სათანადო ინსტრუქტაჟი იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადებინათ საკითხი პარტიული კრებისათვის, რაზე გაემახვილებინათ ყურადღება და სხვ. ამხანაგებმა გულდასმით შეისწავლეს მდგომარეობა. საკითხის შესწავლის მსვლელობისა და კრების მიმდინარეობის დროს გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი.

კრებაზე წარმოების კულტურის გადონეზე მიმდინარეობს, ფორმალურ ხასიათს ატარებს, მიღებული დადგენილებებიც ზერელე და არაფრის მთქმელია.

არის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად მხოლოდ ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ რეკომენდებული საკითხების განხილვით კმაყოფილდებიან, არ იჩენენ ინიციატივას წამოსწონონ ადგილობრივი, ცხოვრებით ნაკარნახევი საკითხები. მაგალითად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის საბაგირო გზის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას (პარტბიუროს მდივანი ა. პაშკოვი) გასული წლის 15 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის აპრილის ბოლომდე არ განუხილავს არც ერთი საკითხი, რომელიც საწარმოს ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, მათ შორის არ უმსჯელია პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე. ამავე დროს ამ პარტორგანიზაციაში პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა დაბალ დონეზე დგას, კომუნისტების ძირითადი ბირთვი თავს არიდებს უშუალოდ იმ უბნებში მუშაობას, სადაც საწარმოო დავალებათა შესრულების ბედი წყდება და მოკალათებულია კანტორაში, ადმინისტრაციულ სამუშაოებზე. ჩაშლილია კომკავშირული და პროფკავშირული მუშაობა. ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ საბაგირო გზა თვეების განმავლობაში სამარცხვინოდ ჩამორჩება? საკმარისია ითქვას, რომ ივნისის პირველი 8 დღის განმავლობაში ამ გზის მუშაკებმა ქვანახშირის გადაზიდვის დავალების შესრულებას 9.462 ტონა დააკლეს.

პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი და მისი საორგანიზაციო განყოფილება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ პარტიულ ორგანიზაციებს კრების მომზადებასა და ჩატარებაში, ნაკლებად ასწავლიან მათ, განსაკუთრებით ახალარჩეულ მდივნებს, თუ როგორ მოამზადონ პარტიული კრება, რა საკითხები შეარჩიონ განსახილველად და სხვ. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროომ გასული წლის 11 აპრილს განიხილა საკითხი პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ ქალაქის სამ ორგანიზაციაში, ხოლო ამის მეტი დღემდე ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა.

პარტიული კრებების დროულად მოწვევა, განსახილველი საკითხების გულდასმით შერჩევა, კრებების კარგად მომზადება და კომუნისტების მაღალი აქტივობის ნიშნით ჩატარება პარტბიუროს მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. არ უნდა დავიწყოთ, რომ პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სკოლაა, ხოლო შინაპარტიული დემოკრატიის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, მათ პრაქტიკულ განხორციელებაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანების გადაწყვეტისათვის მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციაში მონაწილეობდეს ყველა კომუნისტი.

ი. ბოგბეჩია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მწვანე კონცხი

მწვანე კონცხი უმშვენიერესი ადგილია მთელი აჭარის ზღვისპირეთში. მაღლა მთაზე მარადმწვანე დეკორაციულ მცენარეთა „ტყეში“ ჩაფლული, იგი დასცქერის ლურჯად მოლივლივე ზღვას. მთისა და ზღვის ნიავი ადამიანის გულის დამატკბობლად ერწყმის აქ ერთმანეთს. აჭარის სხვა სახელგანთქმულ კურორტებზე დამსვენებლებიც მოვალედ თვლიან თავს ნახონ ეს მშვენიერი ადგილმდებარეობა. დატკბნენ მისი ბუნების სილამაზით, ჰაერით.

ბათუმის მისადგომებთან რკინიგზის ხაზი ამ მიდამოებში ელვასავით დაკლაკნილია. მატარებელი მისრიალებს ზღვის პირას, მის პარალელურად მიდის ასფალტნაგები გზატკეცილი, რომელზეც დდდ-ალმ განუწყვეტლივ მიმოქრიან ავტომანქანები. ამ გზის ზევით მრავალი ბილიკი მიიკლაკნება მწვანე კონცხისაკენ. რკინიგზის ბაქანთან ავტობუსები და სხვა მანქანები ხვდებიან მგზავრებს, დამსვენებლებს. იწყება მწვანე კონცხში სანეტარო დასვენების დღეები.

ყველაზე ხალხმრავალი, ყველაზე მეტი სტუმრის მიმღები აქ ტურისტული ბაზაა. დამსვენებელ-ტურისტები აქ განუწყვეტლივ მოდიან და მიდიან. აქედან დილისსახსოვარი ადგილებისაკენ მიაქანებენ ავტომანქანები ტურისტებს ოცდაჩვიდმეტი მარშრუტით. ეს მარშრუტებია: მწვანე კონცხის მიდამოების მდიდარი და სილამაზით განთქმული ტერიტორია კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობისა, ბათუმის ჩაის ფაბრიკა, ქალაქის სამრეწველო საწარმოები, მისი შესანიშნავი ისტორიული ადგილები, მეზობელი კურორტები. ტურისტები წარუშლელი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან „შინ“ — მწვანე კონცხის ტურბაზაში. აქ მათ ხვდებათ ყოველმხრივ კარგად მოწყობილი დასასვენებელი სახლები და კარვები, მრავალნაირი გართობა — კონცერტები, ლექციები, კინოფილმები. ყოველდღე ნახავთ ზღვაზე ნავებით, კატერებით, გემით მოსეირნე ტურისტებს. აქედან მრავალ ტურისტს იზიდავს ბათუმი და სოხუმი, ახალი ათონი და ქობულეთი, ეწყობა ლაშქრობა აჭარაში ცნობილ მთა „მტირალაზე“, ჩაქვის უდელტეხილზე.

ხალისიანად ატარებენ დღეებს აქ ადამიანები ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხიდან.

სურათზე: მწვანე კონცხის ტურისტთა ბაზაში.

ტექსტი ვლ. დემეტრაძისა.
ფოტო შ. გოჭაძისა.

რკინიგზელის დღის აღსანიშნავად

ხაშურელთა ვაღდებულებები

სამტრედია. (საკ. კორ.). რკინიგზის სამტრედიის კვანძის საწარმოთა შორის დაწინაურდა სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი, რომელმაც მაისში აწევითი და გარეცხვითი შეკეთებიდან ორთქლმავლების გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ორთქლმავლების დგომის დრო აწევითის შეკეთებაში შეამცირა 2 საათით, გარეცხვითში — 1,9 საათით. რკინიგზელებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს თვითღირებულება.

მაღალნაყოფიერად იმუშავეს მემანქანეებმა: ნ. ტალაბაძემ, პ. ტონიამ, შ. ქანთარიამ და სხვებმა. თვითეულმა 6-7 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და ნორმის ზევით 1.885-2.066 ტონა ტვირთი გადაზიდა.

რკინიგზელთა საკავშირო დღისათვის მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად და თბილისის სატვირთო სადგურის მუშაკთა მიმართვის პასუხად სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მუშაკებმა ვალდებულება აიღეს: სატვირთო მოძრაობაში ლოკომოტივების სადღეღამისო გარბენა ნორმასთან შედარებით გაადიდონ 3 კილომეტრით, ტექნიკური სიჩქარე 3,5 კილომეტრით, მძიმე წონის მატარებლებით ნორმის ზევით გადაზიდონ 50 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაჭარბებით გაანაღდონ ორთქლმავლების აწევითი, გარეცხვითი და ელმავლების პერიოდული რემონტის დავალებები.

თბილისელ მოსწავლეთა თაოსნობა

რამდენი სიცოცხლე და მომხიბვლელობაა იქ, სადაც ახალგაზრდობაა, რაოდენ მიმზიდველია ის ჯანსაღი ადამიანური კოლექტივი, რომელიც მშვიდობიან ერთიანობენ კომუნისტური სულისკვეთებით, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულ სახეთა ახალგაზრდებს. სახეთა სკოლა შეუწყალებლად ზრდის მათში მაღალ ადამიანურ თვისებებს — პატიოსნების, შრომისმოყვარეობის, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობებს. პასუხიც ღირსეულია: ახალგაზრდები სახელოვნად სწავლობენ და მუშაობენ, ვერ ითმენენ თავიანთ რიგებში ზარმაცებსა და უქნარებს.

თბილისელი მოსწავლე ახალგაზრდობის ინიციატივა — არადადგების პერიოდში სამუშაოდ წავიდეს რესპუბლიკის ჩაისა და ციტრუსების სახეთა მეურნეობებში — სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის საუკეთესო გამოვლინებაა.

ამ მისასალმებელი ღონისძიების თაოსნობა ეკუთვნის თბილისის 96-ე საშუალო სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციას, რომელმაც დედაქალაქის კომკავშირულ ორგანიზაციებსა და კომკავშირულებს მიმართა:

— ჩვენ გადავწყვიტეთ გავემგზავროთ ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და არდადეგების თვეებში ვიმუშაოთ ჩაის ფოთლის კრეფაზე. მოგიწოდებთ ქალაქ თბილისის სკოლების ყველა მოსწავლეს მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინიციატივას. წავიდეთ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ!

ამ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ თბილისის საშუალო სკოლები. უფროსი კლასების 900-მდე მოსწავლემ გამოთქვა სურვილი საზაფხულო არდადეგების პერიოდში წავიდნენ და იმუშაონ ჩაისა და ციტრუსების სახეთა მეურნეობებში.

19 ივნისს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტმა პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში მოაწყო ამ ახალგაზრდებისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანმა ვ. კაჭარავამ.

სიტყვებით გამოვიდნენ 96-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. პეტროვი, 42-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ხ. ჩხეიტიანი, 32-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ა. იხეიძე. სამუშაოდ მიმავალი ახალგაზრდების სახელით მათ პირობა დადეს, რომ დუღმოდგინე შრომით ასახელებენ თავიანთ კოლექტივებს.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა გ. ალავიძემ, მოსწავლეებმა მ. ბიძინაშვილმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ჯანელიძემ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის ხელოვნების მუშაკებმა.

ო. ბერიშვილი.

პრესის მიმოხილვა

მეტი ყურადღება ადგილობრივი საბჭოების მუშაობას

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, მათი მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კომისიების ორგანიზატორულ მუშაობას მასებში. დეპუტატებზე, სოფლის აქტივზე დაყრდნობით ადგილობრივი საბჭოები ქმედით ღონისძიებებს უნდა ახორციელებდნენ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროულად და წარმატებით შესრულებისათვის, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლებისათვის. სოფლის მშრომელთა შორის აგიტაციისა და ნაკლოვანებათა გამოაშკარავება რაიონული გაზეთების ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა.

ბორჯომის რაიონულმა გაზეთმა „**კომუნიზმის დროშით**“ მიმდინარე წლის თებერვალში გამოაქვეყნა სარედაქციო კორესპონდენცია „სასოფლო საბჭო უფრო ქმედითად უნდა ეხმარებოდეს კოლმეურნეობებს“. მასში მოითხრობილი იყო სოფელ გვერდისუბნის სასოფლო საბჭოსა და მისი მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კომისიის საქმიანობაზე. მათ დროულად შეისწავლეს კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების მდგომარეობა, გამოავლინეს ნაკლოვანებანი, რის შემდეგ საკითხი სასოფლო საბჭოს სესიამ განიხილა. მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დეპუტატებმა, სოფლის აქტივმა გააძლიერეს ყურადღება და კონტროლი ფერმებში პირუტყვის მოვლისადმი. ამის შედეგად პირუტყვის გამოზამთრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სასოფლო საბჭო აგრეთვე სწორად მოიქცა, როცა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების საკითხი სპეციალურად აღმასკომის სხდომაზე განიხილა და ღონისძიებები დასახა. მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, მან მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აღარ იზრუნა და კოლმეურნეობებიც ჩამორჩნენ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაში. გაზეთმა ამ სასოფლო საბჭოს მუშაობის წარმატებებთან ერთად მოურიდებლად ამხილა ნაკლოვანებანი, მიუთითა მათი აღმოფხვრის გზებზე.

მაგრამ ბორჯომის რაიონული გაზეთის ფურცლებზე ასეთ საქმიან მასალებს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ იშვიათად შეხვდებით. გაზეთი მეტწილად კმაყოფილდება საოფლო საბჭოების სესიების მშრალი, ინფორმაციული ანგარიშების გამოქვეყნებით.

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტული საკითხების განხილვა, დეპუტატთა აქტიური მონაწილეობა მათს მომზადებასა და გადაწყვეტაში, ნაკლოვანებათა კრიტიკა და შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით წახალისება იმის საწინდარია, რომ საბჭოებისა და მათი აღმასკომების გადაწყვეტილებებს ქმედითი ძალა ექნება. მაგრამ ადგილობრივი საბჭოების მუშაობა ამ მიმართულებით ასახვას ვერ პოულობს გაზეთის ფურცლებზე. რედაქციას აგიწყდება, რომ ადგილობრივი საბჭოების ძალაა მათი განუყრელი კავშირი მასებთან, რომ მუშაობაში ფართო აქტივის ჩაებმელად საბჭოები წარმატებით ვერ გაართმევენ თავს დიდ ამოცანებს. გაზეთის ვალია სისტემატურად უჩვენებდეს, თუ ადგილობრივი საბჭოები როგორ აბამენ თავიანთ მუშაობაში სოფლის აქტივს, როგორ უჭერენ მხარს დეპუტატების ინიციატივას, ძალს წინადადებებს.

ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის ონის რაიონის სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორად გამოვიდა სოფელ ფარახეთის სასოფლო საბჭო, რომელიც მოწინავეა რაიონში. როგორც ონის რაიონული გაზეთი „**სოციალისტური მშენებლობა**“ წერდა, ფარახეთელთა მიმართვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა რაიონის სასოფლო საბჭოებს შორის. ბევრმა სასოფლო საბჭომ სპეციალურად სესიაზე განიხილა მიმართვა, შეჯიბრებაში ჩაება და ახალი ვალდებულებები იკისრა. გაზეთიც ფართო ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე რაიონის სასოფლო საბჭოებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას.

საერთოდ გაზეთი „სოციალისტური მშენებლობა“ ყურადღებით ეკიდება საბჭოთა მშენებლობის საკითხების გაშუქებას. სისტემატურად წერს სასოფლო საბჭოების და მათი მუდმივი კომისიების მუშაობაზე, მაგრამ გაზეთს მაინც ყურადღებიდან რჩება ზოგიერთი მნიშვნელოვანი თემა.

პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ ძოსახლეობასთან საბჭოების კავშირის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატების ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე, რაც კონსტიტუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. რა კეთდება ამ მხრივ ონის რაიონში, ხვდებიან თუ არა დეპუტატები ამომრჩევლებს, გამოდიან თუ არა მათ წინაშე ანგარიშით? ამის შესახებ გაზეთის ფურცლებიდან მკითხველი ვერაფერს იგებენ.

ბორჯომისა და ონის რაიონული გაზეთების მუშაობის ერთ-ერთი ნაკლია ისიც, რომ ისინი არ უჩვენებენ, თუ როგორ იბრძვიან ადგილობრივი საბჭოები სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვისათვის.

რაიონული გაზეთები სისტემატურად მრავალმხრივ უნდა აშუქებდნენ ადგილობრივი საბჭოების მოღვაწეობას, ზრუნავდნენ იმისათვის, რომ დეპუტატები, სოფლის აქტივი ქმედითად მონაწილეობდნენ საბჭოების მუშაობაში, კიდევ უფრო მტკიცდებოდეს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. საბჭოთა მშენებლობის საკითხების უნარიანად, მოფიქრებულად გაშუქებით გაზეთები ხელს უნდა უწყობდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, პარტიის XX ყრილობის მიერ საბჭოების მუშაობის უკეთ მოწყობისათვის დასახული ღონისძიებების წარმატებით შესრულებას.

ARGOSHIKEL COLMEURNEOBTAN

რეპორტაჟი

არგოშიკელ კოლმეურნეებთან

კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტი ხალხით იყო სავსე. მასთან იმ მომენტში შევედით, როცა ხელს აწერდა ქაღალდს, რომლითაც ცეკავშირს თხოვდა, რომ კოლმეურნეობისათვის საშენი მასალები გამოეყოთ.

იგი მოგვესალმა, დიმმა გადაურბინა სახეზე. — ალბათ შეიტყეთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ფართო ჩვენებით მიდის მიმდინარე წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, — გვითხრა მან.

...სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში ვართ. საამო სანახავი ნათესებია: სიმძიმისაგან თავი დაუხრიათ თავთავებს, მწვანედ ღელავს სიმინდის ზღვა. ყველგან ჩქეფს შემოქმედებითი შრომა.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწია შარშან წითელწყაროს რაიონის ამ მოწინავე კოლმეურნეობამ, რომლის ფულადმა შემოსავალმა ექვს მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა. ამ თანხის მეექვსედი იხარჯება კაპიტალურ მშენებლობაზე. შენდება ოთხი კულტურული ფარეხი ათას-ათასი სული იყო. მიუხედავად ამისა, ჩემმა ბრიგადამ მოსავლელად მიჩენილი 52,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 92 ცენტნერი ყურძენი მიიღო. არც სხვა ბრიგადებშია ცუდად საქმე. წელს ვვარაუდობთ ჰექტარზე მივიღოთ სულ ცოტა 100 ცენტნერი მოსავალი.

მივდივართ მინდვრებს შორის, რომლებზეც ჩანს ზუსტი კვადრატები — არბოშიკელ კოლმეურნეთა და გამარჯვების მტს-ის მექანიზატორთა თავდადებული შრომის ნაყოფი. ნათესები სრულიად სუფთა და შავ ფხვიერ მდგომარეობაშია.

უკვე დავამთავრეთ სიმინდისა და მზესუმზირას ნათესების პირველი კულტივაცია, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — და შევუდექით მეორე კულტივაციას.

...— სამწუხაროა, რომ ცოტა დაგვიანებით გვესტუმრეთ, — განაგრძო თავმჯდომარემ, — თორემ ჩვენთან ერთად წამოხვიდოდით საზამთრო საძოვრებზე ჩათმაში. ჩვენს კოლმეურნეობაში გვყავს გამოჩენილი მწყემსები — მამაცი ადამიანები, რომლებმაც არ იციან, რა არის დაღლა. მაგრამ ახლა მათ იქ ვერ ნახავთ, რადგან ჩვენი ფარები უკვე დაიძრნენ თრიალეთის საზაფხულო საძოვრებისაკენ.

მძიმე იყო გასული ზამთარი. დოლის დროს ამინდი გაფუჭდა, გზები გაუვალი გახდა, კავშირი ბინებთან გაწყდა. მაგრამ ჩვენმა საუკეთესო ბრიგადირებმა ვ. და ა. ბაღაშვილებმა, რომლებიც წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან, წინასწარ ყველაფერი გაითვალისწინეს, დროზე დაათბუნეს შენობები და მიზიდეს პირუტყვის საკვები. თავდადებული შრომით მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ პირუტყვის მთელი სულადობა, აგრეთვე ნამატი და საშუალოდ ყოველ 100 დედაცხვარზე მიიღოთ 93 ბატკანი, რომლებიც უკვლევ გაზარდეს. კოლმეურნეობის ცხვრის სულადობა 28 ათასს შეადგენს.

კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი მეურნეობაა. მემინდვრეობის, მევენახეობისა და მეცხოველეობის გარდა მისდევენ მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, მეფრინველეობას. თუ 1951 წელს ერთმა შრომისუნარიანმა კოლმეურნემ საშუალოდ 255 შრომადღე გამოიმუშავა, შარშან ეს ციფრი 382-მდე გადიდდა.

საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდა და განვითარება კოლმეურნეობის წევრთა შეძლებული ცხოვრების საფუძველია. 1955 წელს ერთ შრომადღეზე გაიცა ოთხი კილოგრამი მარცვლეული, 800 გრამი მზესუმზირა, 300 გრამი ღვინო. აგრეთვე სხვა პროდუქტები, ხოლო ფულად 8 მანეთი და 30 კაპიკი.

შეიძლება კიდევ მრავალი ფაქტისა და ციფრის მოყვანა იმის დასადასტურებლად, რომ არბოშიკის კოლმეურნეობა ღირსეულად ითვლება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ ფართო ჩვენებით.

მოწინავე არტელს ხელმძღვანელობს ალექსანდრე გონაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს ორი უმაღლესი სასწავლებელი და დიდი სამამულო ომის მონაწილეა. იგი საკოლმეურნეო წარმოების ნამდვილი ორგანიზატორია.

...შებინდდა, როცა არბოშიკიდან თბილისისაკენ ვბრუნდებოდით. შორს აციმციმდნენ დიდი ქალაქის ჩირაღდნები. იმ ადგილას, სადაც გაკეთებულია ნიშანსვეტი წარწერით „სოფელი ლილო“ (გარეუბნის რაიონი), გზა ცხვრის ფარებმა გადაჭრეს. ჩვენ მანქანით გავუსწორდით მწყემსს, რომელიც ცხენით მიდიოდა.

— ვისია ფარები? — შევეკითხეთ მას.

— არბოშიკის კოლმეურნეობის, — გვიპასუხა არტელის ბრიგადირმა ვლადიმერ ბაღაშვილმა, სწორედ იმან, რომელსაც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გმირი უწოდა.

სურათებზე: ფრაგმენტი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გონაშვილი (მარჯვნივ) და ბრიგადირი გ. ალადაშვილი კოლმეურნეობის ვენახში; ზემოთ — არტელის ფარები მიდიან თრიალეთის საძოვრებზე.

ტექსტი და ფოტო ვ. გინზბურგისა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ცხაკაიას რაიონის სოფელ მენჯის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში შრომა მოუწესრიგებელია, საკოლმეურნეო წესდებას ირღვევენ, ადგილი აქვს საზოგადოებრივი ქონების მითვისებას, — სწერდა რედაქციას სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომს გადაეგზავნა. წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

რაიკომის ბიუროომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. ბურსულაიას გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისადმი უყურადღებობისათვის, აგრეთვე საგაზაფხულო ხვნა-თესვაში ჩამორჩენისა და კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი სუსტი კონტროლისათვის ბრიგადელი პარტორგანიზაციის მდივანს ბ. ძაძამიას მიეთითა.

დასახულია ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

შეჯიბრების ინიციატორებთან

ვალდებულება იკისრე — შეასრულე ეგი! ეს ლოზუნგი ახლა, ივნისში, უფრო მრავლისმეტყველი გახდა. საქმე ის არის, რომ დაგვიანებული გაზაფხულის გამო ჩაის ფოთოლი საკრეფად გვიან, მაისის მეორე ნახევრიდან, შემოვიდა, შემდეგ კი ივნისში კვლავ ცუდი ამინდი დადგა, ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია (ზრდა-განვითარება) დროებით შეჩერდა. შეჯიბრების ინიციატორებმა — ზუგდიდელმა მეჩაიეებმა ჩაის კრეფის მაის-ივნისის დავალება 21 ივნისისათვის 62,1 პროცენტით შეასრულეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩამორჩენას ნიშნავს. ამიტომ ზუგდიდელი მეჩაიეები სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან.

ამ მდგომარეობას მთელ რიგ კოლმეურნეობებში კარგად ითვალისწინებენ და თვითეული კილოგრამი ჩაისათვის იბრძვიან. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთერთი დიდი სოფლის — ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა შრომითმა საქმიანობამ.

ღამდებოდა, პლანტაციებიდან კოლმეურნეობის კანტორაში რომ დავბრუნდით, ორსართულიანი ლამაზი შენობის ოთახებში ანგარიშწარმოების მუშაკები კვლავ განაგრძობდნენ მუშაობას—ჯუსტებდნენ წინადღისა და ამ დღის შრომითს შედეგებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ჭეჟია, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ტელეფონით დაუკავშირდა ბრიგადებს (ტელეფონი დადგმულია რვა ბრიგადაში). მას პირველ რიგში აინტერესებდა მეხუთე ბრიგადის მდგომარეობა, რადგან იმ დღეს ვერ მოასწრო მისულიყო იქ. ამ ბრიგადის პლანტაციები განლაგებულია უმთავრესად მდინარე ჯუმის ნაპირებზე. სწორედ აქედან ბრიგადირისა და ჩაის მიმღები პუნქტის გამგისაგან იღებდა თავმჯდომარე ცნობებს მინდვრის სამუშაოთა მდგომარეობაზე.

ოდიშელი მეჩაიეები წარმატებით შრომობენ ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით შესრულებისათვის. მათ კარგად იციან, რომ ეს ნიშნავს მილიონობით ბაღი შემოსავალს, შრომადღის უფრო მაღალ ანაზღაურებას. თუ შარშან თვითეულ შრომადღეზე 29 მანეთი მიიღეს, წელს ფიქრობენ 32 მანეთზე მეტი გასცენ. კოლმეურნეობამ მაის-ივნისის გეგმით 203 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს, უკვე მოკრეფილი აქვს 150 ტონაზე მეტი. მართალია, ჩაის ბუჩქების ზრდა-განვითარება ახლა ნაკლებია, მაგრამ შრომას ისე აწყობენ, რომ ყოველდღიურად კრეფენ 4-5 ტონას, დღეში ჩაის საკრეფად 400-500 კაცი გამოდის.

როცა იკითხავთ დაწინაურებულ ბრიგადას, ყველაზე წინ მეხუთე ბრიგადაზე მიგითითებენ. ბრიგადირი ჭ. ჭურღულია თხუთმეტი წელია ბრიგადირად მუშაობს და არასოდეს ჩამორჩენა არა ჰქონია. ახლაც წინ მიდის. მაის-ივნისის დავალება 21.560 კილოგრამს ითვალისწინებს. ბრიგადას მოკრეფილი აქვს 17.000 კილოგრამზე მეტი. აღსანიშნავია ის, რომ მთელი მოკრეფილი ჩაიდან მეორე ხარისხისა მხოლოდ 400-მდე კილოგრამია. ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ წელიური გეგმით გათვალისწინებული 49 ტონის ნაცვლად 60 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფოს. ამ ბრიგადას გადაეცა კოლმეურნეობის გარდამავალი წითელი დროშა.

მონდომებამ, წინასწარ გამიზნულმა ნაბიჯმა მოუპოვა წარმატება მერგოლური ლ. თოდუას. რგოლმა ორი თვის დავალებით 7.700 კილოგრამი ჩაი უნდა მოკრიფოს. მაისის გეგმა 118 პროცენტით შეასრულა, ხოლო მაის-ივნისის დავალებას 24 ივნისისათვის შეასრულებს. ამიტომ იყო, რომ გამგეობამ მოწინავე მერგოლური პირველ რიგში გაგზავნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ექსკურსანტად. მარჯვენას უქიენ ახალგაზრდა მკრეფავს ც. ჭურღულიას, რომელიც სანმუშოდ უვლის 0,5 ჰექტარ პლანტაციას. იგი დღიურად 50-60 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს და იმ ანგარიშით შრომობს, რომ წელს ამ ფართობზე 5 ტონა ჩაი მიიღოს.

მეჩაიეთა შორის გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდა მესამე ბრიგადა, რომელსაც ტ. ჭურღულია ხელმძღვანელობს. ეს გამხსენებელებული ბრიგადაა, რომელმაც წელს ასი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს. მოწინავე მკრეფავები ლ. გახარია, ლ. ჭარაია, მ. კეზუა, თ. თოლორაია და ბევრი სხვა ყოველდღიურად 30-40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ.

მეჩაიეთა შრომითს შედეგებზე ბრიგადებში წერენ საველე გაზეთები, ეწყობა საუბრები, კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების მიზნით ტარდება აგიტმხატვრული კოლექტივების გამოსვლები. დაშორებულ ბრიგადებში მოწყობილია სადილის გაგზავნა. კოლმეურნეობამ დაამთავრა თორნის მშენებლობა. გრძელდება კოლმეურნეთა სახლების ელექტროფიცირება და რადიოფიცირება. სულ მალე 220 კომლის სახლს გაანათებს ელჩის ნათურები.

სოფელ ჭალვნჯის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარეა კარგი სამეურნეო მუშაკი კ. შეროზია, სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციებს 141 ჰექტარი უკავია. აქაურმა მეჩაიეებმა ბრძოლა გააჩაღეს საშუალოდ ჰექტარზე 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღებისათვის. ამ პირობის შესრულება იმას ნიშნავს, რომ გასულ წელთან შედარებით ჰექტარზე მოსავლიანობა გაზარდონ სულ ცოტა 191 კილოგრამით და კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი შარშანდელი 6.350.000 მანეთიდან 7.000.000 მანეთამდე აიყვანონ.

ყველა ბრიგადაში გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა, რათა მაის-ივნისს გეგმა ვადაზე ოთხი დღით ადრე შეასრულონ. ჩაის კრეფაზე ყოველდღიურად ხუთასზე მეტი კაცი შუშაობს. მათ გადაწყვიტეს ამ დღეებში ბრიგადებში მოაწყონ სპეციალური დაფები, სადაც აღინიშნება, ვინ დაწინაურდა და ვინ ჩამორჩა. პირველი შედეგებით წინ მიდის ის ბრიგადა, რომელსაც შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პ. შენგელია ხელმძღვანელობს. ბრიგადის მოწინავე მეჩაიე გ. ნარსია, რომელსაც შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს მეშვიდე ბრიგადის წევრი ლ. ჩარგაზია, კრეფის დღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებს.

ამ კოლმეურნეობაში კარგად მოაწყეს ქალთა შრომა. გახსნეს რამდენიმე საბავშვო ბაგა, სადაც 250-ზე მეტი ბავშვია. მეხუთე ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ლ. შენგელია ხელმძღვანელობს, პირობას იძლევა ორი თვის დავალება 25 ივნისისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 3-4 ტონა ჩაის ფოთოლი. ჭაქვნჯელი მეჩაიეები დარწმუნებთ აცხადებენ, რომ ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით გაანღდებენ და სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მეჩაიეებთან შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ, ასე ფიქრობენ ორჯონიკიძელებიც. ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს!

ცუდად არ მუშაობენ ჩაის კრეფის გეგმის შესრულებისათვის ცაიშელი კოლმეურნეები. 16 ივნისისათვის მათ მოკრეფილი ჰქონდათ 107 ტონა ჩაის ფოთოლი ანუ გეგმის 94 პროცენტი. მათი პირობაა მაის-ივნისის გეგმის გადამეტებით მოკრიფონ ოცი ტონა ჩაი. მეთორმეტე ბრიგადამ (ბრიგადირი კომუნისტი ძ. ჯღარკავა) მაისის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა, ხოლო ორი თვის გეგმას 25 ივნისისათვის შეასრულებს. მკრეფავები ც. მიქავა და ლ. სილოგავა ერთმანეთს ეჯიბრებიან და თვითეული მათგანი დღეში 80-100 კილოგრამს კრეფს. მათი მაგალითის მიხედვით მუშაობენ დანარჩენებიც.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვისა და შრომადღეების დარიცხვის საქმე. ივნისის პირველ ნახევარში შესრულებულ სამუშაოებზე ბრიგადირებს უწყისები არც კი წარმოუდგენიათ. ანგარიშწარმოების მუშაკები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბრიგადირებისაგან იღებენ გადასწორებულ, გადაშლილ უწყისებს და ისე აკრიბენ ხელფასს. ამ უწყისებში ნახევი ციფრების გადასწორების შეუწყნარებელ ფაქტებს.

ზუგდიდის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები ვერ უზრუნველყოფენ შრომის სწორ ორგანიზაციას, ჩაის ფოთლის ყოველდღიურ, განუწყვეტელ კრეფას. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ რუხის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებას“ 16 ივნისისათვის მაის-ივნისის დავალება შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 33,3 პროცენტით, ჭითაწყარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას — 42,3, ახასთუმნის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობას — 42,5, ამავე სოფლის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობას — 53,5, კორცხელის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას — 56 პროცენტით.

საჭიროა გადაჭრით გაძლიერდეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, რათა ყოველი ღონისძიებით გამოვასწოროთ არსებული მდგომარეობა. ივლისი ძირითადად გადაწყვეტს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ბედს. ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ შეჯიბრების ინიციატორებმა.

ნ. ჯანჯღავა,
გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ლიტერატურა და ხელოვნება

ი. ნონეშვილი — „ყაზახეთის მიწაზე“

მოსკოვში გამომცემლობა „პრავდამ“ ახლახან ყურნალ „ოგონიოოკის“ ბიბლიოთეკის სერიით გამოსცა პოეტ იოსებ ნონეშვილის ლექსების წიგნი „ყაზახეთის მიწაზე“. როგორც ცნობილია, ი. ნონეშვილი 1954 წელს იმყოფებოდა ყაზარი მიწების ათვისების რაიონებში და დაწერა ლექსები, რომლებიც ხასიათდება მაღალი მხატვრული ოსტატობითა და პოეტური კულტურით.

წიგნში მოთავსებული ლექსების თარგმანები შესრულებულია ცნობილი რუსი პოეტის მიხეილ ლუკონინის მიერ. წიგნს დართული აქვს ი. ნონეშვილის მოკლე ბიოგრაფია. ყდაზე მოთავსებულია პოეტის პორტრეტი. წიგნის ტირაჟია 150.000 ცალი, შეიცავს 32 გვერდს. ფასი 40 კაპ.

სურათზე: ი. ნონეშვილის ლექსების წიგნის ყდა.

საღამო ფილარმონიაში

21 ივნისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა საზეიმო სალამო, მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დაარსების 50 წლისთავისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. დვალიშვილმა. მოხსენება ფილარმონიის მუშაობის შესახებ გააკეთა დოკენტმა პ. ხუჭუმამ.

ფილარმონიის შემოქმედებით კოლექტივს მიესალმნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ს. როსტომაშვილმა საღამოზე წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მადლობა გამოუცხადა ფილარმონიის შემოქმედებითი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დიდ ჯგუფს.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ფილარმონიისა და თბილისის თეატრების საუკეთესო ძალებმა.

ჩრდილოეთ ოსეთის თეატრის გასტროლები

ყოველდღე საღამოს მაყურებლით თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის დარბაზი. აქ წარმატებით მიმდინარეობს ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის გასტროლები.

გასტროლების განმავლობაში თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა სპექტაკლები —„დიდი ხელმწიფე“, „ნამდვილი მამაკაცი“, „ფატიმა“, „განხეთქილების ვაშლი“, „პანი დულსკაიას მორალი“, „ძოხერხებული შეყვარებული“ და „ბროლის წყარო“.

გრიბოედოვის თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლების პარალელურად თეატრმა გორკის სახელობის კულტურის სახლში მაყურებელს უჩვენა „ძოხერხებული შეყვარებული“, ხოლო პლეხანოვის სახელობის კლუბში „პანი დულსკაიას მორალი“.

მსახიობური ოსტატობით გამოირჩევიან ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო არტისტები ლ. კონდრატევი და პ. ლუკინა, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ე. არიჩევა და ი. მიატელევი, ყაზახეთის სსრ დამსახურებული არტისტი ვ. სანდროსნოვაკოვი, მსახიობები ვ. ბონდარენკო, ვ. ბერიოუკოვი, ა. ზავალოვი, ტ. პეტროვა, ე. პეტროსიანი, ს. რახინოვი, ვ. ხუგაევა და სხვ.

ჩრდილოეთ ოსეთის რუსული დრამის რესპუბლიკური თეატრის გასტროლები ჩვენს დედაქალაქში 28 ივნისამდე გასტანს.

ბიბლიოგრაფია

ლექსები და ბალადები

ქართულ საბჭოთა პოეზიაში ალექსანდრე გომიაშვილი შემოვიდა როგორც ორიგინალური ხმის მქონე პოეტი. მის ლექსებში თავიდანვე იგრძნობოდა იმედიანი ნაპერწკალი იმ ცეცხლისა, რომელიც ასე მძლავრად გიზგიზებს ვაჟასა და ყაზბეგის შემოქმედებაში.

ალ. გომიაშვილი უმღერის მთასა და ხევს, მათს სიდიადეს, შემოქმედის მართალი თვალით ხედავს და ხატავს იმ სიახლეს ადამიანების ხასიათსა და ყოფაცხოვრებაში, რომელიც თანამედროვეობამ დაამკვიდრა როგორც ბარად, ისე მთაში. როგორ შეიძლება პოეტმა ახლებურად არ იმღეროს, როცა იქ,

„სადაც თერგს მისდევს გზაწვრილი,
მუშები კლდეებს შებმიან,
მთები, შუბებად აწვდილი,
მადანის ქარქაშებია.
წინათ თუ ლერწმის ღეროდან
მამა-პაპანი მღეროდნენ:
„ტიალო დარიალაო,
კლდენი ხარ ცარიალაო“ —
ახლა ხევს მუშა გასძახის:
— რომ მტერი გავატიალოთ,
მთიდან მადანი დასძარი,
საბჭოთა ინდუსტრიაო“.

ალექსანდრე გომიაშვილის შემოქმედების მთავარი თემა სამშობლოს სიყვარულია. პოეტს აღაფრთოვანებს მშობლიური ქვეყნის მიღწევები. იგი ეტრფის ყოველივე ახალს, მზარდსა და მოწინავეს. ცხოვრების სიახლენი, ჩვენი დიდი ქვეყნის წარმატებები, მშრომელთა აზრები და გრძნობები ამღერებულია ლექსში „მომილოცნია ახალი წელი“. ეს არის გამარჯვების, ხალხთა დიადი მეგობრობის საგალობელი. პოეტი უმღერის საბჭოთა ქვეყნის გრანდიოზულ წარმატებებს, გრძნობს, თუ როგორ ეხმაურება ჩვენს აწმყოს „ჩვენი წარსული და მომავალი“, როგორ გაისმის

„კრემლის ზარივით სიმღერა წრფელი, —
მაღალი, როგორც ლაჟვარდი მთაში,
უსაზღვრო, როგორც რუსეთის ველი!“

გამარჯვებული და აყვავებული სამშობლოს წინსვლა, საბჭოთა ადამიანების მიერ ახალი ცხოვრების დამკვიდრება მკვეთრად ჩანს ლექსებში „მლაშე ტბები“ და „ორი მწვერვალი“.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს ბალადა „წანგრევთა შორის“, რომელიც გამოხატავს ახლის ბრძოლას ძველთან. აქ მოხუცთან, რომელსაც „წლებმა ოთხმოცი ათოვა“, რომელიც მისტირის „გადასული თემის ადათებს“, დაპირისპირებულია ახალგაზრდობა, რომელიც „ახალი მთების ქუხილისათვის სივრცეს ამზადებს“. ბალადაში მხატვრული ოსტატობით არის ნაჩვენები ახლის უძლეველობა და სიდიადე.

პოეტის შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა გენიალური ლენინის სახე. პატარა ლექსში „მერხზე იჯდა ნაპერწკალი“ პოეტი დიდი სიყვარულით ხატავს უკვდავი ლენინის ბავშვობას, ხატავს, თუ როგორ ზრდიდა ხალხი გმირს, ნაპერწკალს, რომელიც მამინ მერხზე იჯდა, „გაიარა სკოლის კარი — და იმ ბნელში გაანათა დღევანდელი დღის ცისკარი“.

ალ. გომიაშვილის ბალადებს შორის მეტად საინტერესოა „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“. ეს არის ნამდვილი სიმღერა სიცოცხლეზე. მკითხველი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს სტრიქონებს:

„ჰკლავდნენ და არა კვდებოდა,
იცვამდა გრილსა რკინსა,
ხან გლეხის ქოხში წვებოდა,
ხან ველად ჰქონდა ბინა,
ღამე ვარსკვლავთან ჰქრებოდა,
მზესთან დგებოდა დილას“.

კიდევ უფრო ძლიერად ეღერს ბალადის დასასრული:

„ლადო ციხეში კვდებოდა,
გულში ეკიდა ალი;
ცა ბინდდებოდა, ცხრებოდა,
ეხუჭებოდა თვალი...
და მკერდზე გადაფენოდა
ლენინის „ნაპერწკალი“.

მეტად საყურადღებოა ა. გომიაშვილის ლექსი „ისევ ეძახიან გერმანიას“, რომელიც დაწერილია 1933 წელს. პოეტმა მხატვრული ფერებით გამოხატა კაპიტალიზმის გარდუვალი დამხობა, ისე, როგორც დაემხო „ვანდომის სვეტის სიმაღლიდან ნაპოლეონი“. მწერალმა ამ ლექსში ჰიტლერსა და მის დამქაშებს უწინასწარმეტყველა საბოლოო განადგურება:

„ამა, დაამბერა ქარიშხალმაც,
ჩაჰქრა ვარსკვლავი,
ღამის წუდდიადის
ნაპრალები ნაპრალებს ხრავენ...
— ჰიტლერ, ჩაძაღლდი!
დგება ღამე უკანასკნელი,
უკანასკნელი
რეაქციის ვალპურგის ღამე!..“

როდესაც ჩვენს სამშობლოს შემოესიენ ჰიტლერელთა ურდოები, პოეტს ღრმად სწამდა, რომ „სინათლე ბნელსა სძლევდა, მზის შუქი უამინდობას“, ხოლო ომისშემდგომ ლექსებში „მოსკოვი“ და „დიდია ჩემი სამშობლო“ ალ. გომიაშვილი უმღერის გამარჯვებულ საბჭოთა ხალხს, კომუნიზმის დიად შენებლობას, ჩვენი ქვეყნის ნათელ აწმყოსა და ბედნიერ მომავალს.

პოეტი თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებს ხალხურ თქმებს და მოხდენილად აქსოვს მათ ლექსის სტრიქონებში. მხატვრული სახეები, მეტაფორები, ეპითეტები და სხვა პოეტური ხერხები ისე სხარტად, ბუნებრივად, რეალისტურად არის ნახმარი, რომ მათ მკითხველი ყოველთვის აღფრთოვანებაში მოჰყავს.

ალექსანდრე გომიაშვილის ლექსებისა და ბალადების ერთტომეული გამოცემულია სახელგამის მიერ. იგი პოეტის განვლილი შემოქმედებითი მუშაობის შეჯამებაა და წარმოადგენს კარგ საჩუქარს ქართველი მკითხველებისათვის.

ციალა ვაჭარაძე.

კონკურსი საუკეთესო საესტრადო ნაწარმოებებზე

გამოცხადებულია დახურული კონკურსი საუკეთესო საესტრადო მუსიკალურ ნაწარმოებებზე. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი ჟანრის ნაწარმოებები: ლირიკული, საგმირო-ეპიკური, იუმორისტულ-სატირული სიმღერები, შაირები და კუპლეტები.

კონკურსზე წარმოდგენილი ვოკალური ნაწარმოებები შეიძლება იყოს როგორც ფორტეპიანოზე, ისე ორკესტრის თანხლებით შესასრულებელი. ნაწარმოები შეიძლება წარმოდგენილ იქნას პარტიტურით ან კლავირით.

მიიღება აგრეთვე ნაწარმოებები საესტრადო ორკესტრისათვის: ფანტაზიები, რაფსოდიები, უვერტიურები, საცეკვაო ნომრები.

საკონკურსო ჟიურის მიერ მოწონებულ ნაწარმოებებს მიენიჭება შემდეგი პრემიები: ორი პირველი პრემია, თითო 5.000 მანეთი. ოთხი მეორე პრემია, თითო 3.000 მანეთი. ექვსი მესამე პრემია, თითო 2.000 მანეთი.

საკონკურსო ნაწარმოებები წარმოდგენილ უნდა იქნას 1956 წლის 1 ივლისამდე.

საკონკურსო მუსიკალური საესტრადო ნაწარმოებები წარმოდგენილ უნდა იქნას დევიზით, ხოლო ცალკე დახურულ კონვერტში იმავე დევიზით ავტორის სახელი, გვარი და მისამართი.

პრემიების მიკუთვნება იწარმოებს ფარული კენჭისყრით. შედეგი გამოცხადდება პრესაში.

საკონკურსო საესტრადო მუსიკალური ნაწარმოებები წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში, საკონკურსო ჟიურიში.

ზღვას მიაპობ...

ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნაიმე წერეთელი ჩაის კრეფის მოწინავეა. მის ფამაცურ შრომას პოეტმა შ. ამირანაშვილმა მიუძღვნა ლექსი „ზღვას მიაპობ“...

როგორც დედამ საყვარელი ბავშვის ენა,
მისი ფიქრი, მისი გულისნადები —
ისე იცი, დარაზმულნი მწკრივში ველად,
რას ფიქრობენ ეგ ზურმუტის ვარდები.

სტიქიონებს მათთან ბრძოლას არ ანებებ
პლანტაციის თვალუუფუნა ფერი.
ეგ ფოთლები ნიავისგან შრიალებენ
თუ ნიავთან ერთად შენზე მღერიან.

ზღვას მიაპობ აქოჩრებულს მწვანე ტალღით,
მაგ თითებში ცეცხლია თუ თიდისმა,
გულნაფელი, ვით უღრუბლო ზეცის თაღი.
მტრედისფერი ლაჟვარდი ხარ ფილისა.

ჩაის ბუჩქმა ბავშვობიდან მიგიზიდა,
გახარებდა როგორც დედის ალერსი,
შენი სოფლის საყვარული ტკბილად
გზრდიდა,
გაგიღვივა გრძნობა უმხურვალესი.

სოფელს მხარში ამოუდექ სოფლის შვილი —
და არავინ აღარა გაკვს ბადალი,
მაგ პაწია ხელებშია დაგროვილი
მწვანე ოქროს ულეველი მადანი.

შოთა ამირანაშვილი.



სურათზე: კოლმეურნე ნაიმე წერეთელი ჩაის პლანტაციაში. ნახატი ი. კალაძისა.

რაციონალიზატორი მეტალურგები

ჩაის ფოთლის დამზადება

(ჩაის ტრესტის 21 ივნისის ცნობებით)

საქართველოს სს რესპუბლიკაში 21 ივნისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა შესრულებულია 73,9 პროცენტით, სულ მოკრეფილია 40.133,2 ტონა ჩაის ფოთოლი.

ბათუმის რაიონში ჩაის კრეფის მაის-ივნისის დავალება შესრულებულია 83,8 პროცენტით, ქობულეთის — 80,3, ქედის — 183,6, გალის — 70, ოჩამჩირის — 65,8, გულრიფშის — 82,1, სოხუმის — 57,7, გუდაუთის — 57,6, მახარაძის — 80,5, ჩოხატაურის — 90,2, ლანჩხუთის — 75,4, სამტრედიის — 65,6, წულუკიძის — 70, ქუთაისის — 58,4, წყალტუბოს — 83,2, ტყიბულის — 59,3, ცხაკაიას — 72,6, აბაშის—71,1, გეგეჭკორის — 72,1, ზუგდიდის — 62,1, ფალენჯიხის — 67, ჩხოროწყუს — 80,7, ხობის — 66,3, თერჯოლის — 125,6, ზესტაფონის — 95,7, ბაღდათურის — 152, ხოლო ვანის რაიონში — 18 პროცენტით.

საკოლმეურნეო საბავშვო ბაგები

ბოლნისი. **(საკ. კორ.).** რაიონში სულ უფრო ფართოვდება საკოლმეურნეო საბავშვო ბაგების ქსელი. დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა საბავშვო ბაგა, სადაც ყოველდღიურად 80 ბავშვს უვლიან. მათთვის შექმნილია ყველა პირობა. 90 ბავშვისათვის საბავშვო ბაგა გაიხსნა აგრეთვე სოფელ სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ამ დღეებში საბავშვო ბაგა გაიხსნება სოფელ ბოლნისის პარიზის კომუნის სახელობის, ქვემო ბოლნისის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობებში და სხვ.

წელს რუსთავის მეტალურგები მეტი თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის გამოშვებისათვის ბრძოლაში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ. ამაში ღირსეული წვლილი შეაქვთ რაციონალიზატორებს, რომლებიც თავიანთ ნოვატორულ წინადადებათა განხორციელებით ქმნიან საფუძველს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის.

მარტო მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში ქარხანაში დანერგილი 104 რაციონალიზატორული წინადადებით მეტალურგებმა 795.000 მანეთის ეკონომია გასწიეს.

რაციონალიზატორ - გამომგონებლებთან მუშაობა კარგად არის მოწყობილი მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიურ საამქროში, სადაც ამ საქმეს ინჟინერ-ტექნოლოგი თ. დიმიტრიევა ხელმძღვანელობს.

მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება განახორციელა საამქროში საკოქსე ღუმელების უფროსმა გ. ნოვოსელსკიმ. ექსპლოატაციის პროცესში საკოქსე ღუმელის აირშემკრებ მილში დაგროვილი ფისი და გამყარებული სახის სხვა ქიმიური ნარჩენები ტექნოლოგიის მიხედვით ყოველდღიურად უნდა გაიწმინდოს. ამ ოპერაციას პრიმიტიული წესით ასრულებდა 6 კაცი, ხშირად იმავე სამუშაოს ამაზე ორჯერ მეტი მუშა უნდებოდა. გ. ნოვოსელსკის წინადადებით ორივე საკოქსე ღუმელის აირშემკრებ მილებზე დააყენეს ორთქლის კოლექტორები. ეს მოწყობილობა მაღალი წნევით მიწოდებული ორთქლით მექანიკურად წმენდს მილებს. ამ საქმეს ახლა ექვსის ნაცვლად ერთი კაცი 15 წუთში ასრულებს. ეს ღონისძიება საამქროს წელიწადში 30.600 მანეთზე მეტ ეკონომიას მისცემს.

საბრძმედე საამქროში წელს განხორციელებული რაციონალიზატორული წინადადებებიდან გამოირჩევა კალატოზების ს. ნადირაშვილის, რ. ნონიაშვილისა და შ. შაიშმელაშვილის წინადადება, რომლის მიხედვით თუჯის ჩასასხმელი ციცხვების ზედა ნაწილზე შეცვალეს ციცხლგამძლე აგურის წყობის სისტემა. სიბრტყის ნაცვლად აგურს აწყობენ გვერდით ორფენად. ამის შედეგად წიდის მოცილებისას აგურის დაზიანების შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო, რაც საამქროს დაახლოებით 170.600 მანეთ წლიურ ეკონომიას მისცემს.

ამავე საამქროს უფროსი ოსტატის ვ. კობერიძის წინადადებით ორივე ბრძმედის გადასაშვებ ღარს უკან გაიკეთეს სპეციალური ორმო, ამასთან წიდისა და თუჯის ნარჩენთა ციცხვში გადასაშვებად დააყენეს ღარი. ამის შედეგად თუჯის ციცხვში აღარ ხვდება წიდა და პირიქით — საწიდე ციცხვში თუჯი, რითაც რამდენადმე გაიზარდა ციცხვების გამძლეობა. გაანგარიშების მიხედვით ამ წინადადების განხორციელება მებრძმედეებს წელიწადში 234.500 მანეთზე მეტ ეკონომიას მისცემს.

ფოლადსადნობ ღუმელებში თხევადი თუჯის ჩასასხმელი ღარის გამძლეობა დაბალი იყო, 6-7-ჯერ მოხმარების შემდეგ ღარი შესაკეთებელი ხდებოდა. მარტენის საამქროს სამონტაჟო სამუშაოთა ბრიგადირის ვ. კუკულავასა და კალატოზ კ. ლაჩაშვილის ინიციატივით ღარის ქვედა ნაწილი გააფართოვეს, რითაც საშუალება მიეცათ ღარისათვის ცეცხლგამძლე აგური გარედანაც შემოეწყოთ. ნოვატორთა წინადადების განხორციელების შედეგად ღარის გამძლეობა 3-4-ჯერ გადიდდა და წლიური ეკონომია 192.000 მანეთს აღემატება.

წვრილსორტული საამქროს უფროსის მოადგილემ ვ. იაკურამ, უფროსმა ოსტატმა ა. სტეროენკომ, უფროსმა ელექტრიკოსმა ტ. ბალავაძემ და მექანიკოსმა ა. ელიშევიჩმა შეიმუშავეს დგან 320-ზე მრგვალი პროფილის გაგლინვის ორიგინალური სქემა, რომლის მიხედვით ნამზადს გლინებში 8-ის ნაცვლად მხოლოდ 6-ჯერ ატარებენ. ამით შემსუბუქდა მვალცავთა შრომა, მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

— წლის ბოლომდე წარმოებაში დავნერგოთ სულ ცოტა 300 რაციონალიზატორული წინადადება და მივაღწიოთ 3,5 მილიონ მანეთ ეკონომიას — ასეთია რუსთავის მეტალურგების ვალდებულება.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: კოქსქიმიური საამქროს რაციონალიზატორები: (მარცხნიდან) ოსტატი — ელექტრიკოსი ვ. კავარდეევი, საკოქსე ღუმელების უფროსი გ. ნოვოსელსკი, გოგირდსაწმენდი განყოფილების უფროსი ნ. სიხარულიძე, ოსტატი მექანიკოსი ო. გასიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კონკურსი საუკეთესო ნაწარმოებებზე

ეროვნული ნაიმე წერეთელი ჩაის პლანტაციაში.

გამოხმაურება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივ განცხადებაზე და დეკლარაციაზე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობის შესახებ

იუგოსლავია

ბელგრადი, 21 ივნისი. (საკუთარი). იუგოსლავიის ყველა ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდი სათაურებით გამოაქვეყნა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობის შესახებ. ამ დოკუმენტებს სარედაქციო სტატიები უძღვნეს გაზეთებმა „ბორბამ“, „პოლიტიკამ“, „რადნიცამ“ „ზადრუგამ“ და სხვ.

„ბორბის“ სარედაქციო სტატიაში სათაურით „ისტორიული გადაწყვეტილებანი“ ნათქვამია, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი განცხადება და დეკლარაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობის შესახებ „ადასტურებენ, რომ სწორი იყო ჩვენი იმედი, როცა პრეზიდენტ ტიტოსა და იუგოსლავიის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს საბჭოთა კავშირში ვიცლებდით“. იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ახალი მოლაპარაკების სრულ წარმატებას, ნათქვამია სტატიაში, ხელი შეუწყო მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა. ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის სრული ნორმალიზაცია და დამყარდა მეგობრული თანამშრომლობა ბელგრადის დეკლარაციის ბაზაზე, იმ დიდი დემოკრატიული პრინციპების — ერთი სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის პატივისცემის და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების ბაზაზე, რომლებსაც ეს დეკლარაცია შეიცავს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, განაგრძობს გაზეთი, საფუძველს, რომლითაც საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელები ხელმძღვანელობდნენ, როცა ახალ გადაწყვეტილებებსა და დეკლარაციას იღებდნენ. ეს საფუძველია ერთი მხრივ, მისწრაფება მშვიდობისა და იმის შეგნებისადმი, რომ ამჟამად მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ აქტიური მშვიდობიანი თანაარსებობისა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკის დახმარებით, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი, ეკონომიური და პოლიტიკური სისტემების განსხვავებისა. მეორე მხრივ, ეს საფუძველია იმის შეგნება, რომ საჭიროა კვლავ განვითარდეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობა და თანამშრომლობა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის, რადგან ჩვენი ქვეყნები მიდიან, თუმცა სხვადასხვა გზით, ერთი და იმავე საერთო მიზნისაკენ — სოციალიზმისაკენ.

ხელმძღვანელობდნენ რა იმ საფუძვლით, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა მოლაპარაკების დროს მოსკოვში შეძლეს მიეღწიათ შეხედულებათა ფართო ერთობისათვის, განმტკიცებინათ ჩვენი ორი ქვეყნისა და ჩვენი ხალხების მეგობრობა და ახალი ფასდუდუტეული წვლილი შეეტანათ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

ისახავდნენ რა ამოცანას — ერთობლივად მიეღოთ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კვლავ განვითარდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დაწყებული პროცესი, მათ აღნიშნეს მთელი რიგი საერთაშორისო საკითხები. ეს წინადადებანი როდი ემყარებიან რაიმე ვიწრო ინტერესებს; მათი მიზანია იმ ზღუდეების მოსპობა, რომლებიც მსოფლიოს თიშავენ. ერთი სიტყვით, ისინი ნაკარნახევია მშვიდობისმოყვარული აქტიური თანაარსებობის პოლიტიკით.

იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ახლანდელი ურთიერთობა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, სწორედ იმიტომ, რომ ემყარება ბელგრადის დეკლარაციის დემოკრატიულ პრინციპებს, არ შეიძლება რაიმე დაბრკოლება იყოს მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის, რომელიც იუგოსლავიამ დაამყარა დასავლეთისა და მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანასთან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, განაგრძობს გაზეთი „ბორბა“, აზრთა გაზიარებას იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის შემდგომ კონტაქტებისა და თანამშრომლობის საკითხზე, აზრთა გაზიარებას, რომელიც მოლაპარაკების მსვლელობაში გაიმართა და რომლის შედეგები ჩამოყალიბებულია სპეციალური დეკლარაციით.

თუ შევაჯამებთ, წერს დასასრულ გაზეთი, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების ყველა შედეგს, შეგვიძლია უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ მან გაიარმავა და გააფართოვა გზა, რომელიც ერთი წლის წინათ დაისახა ბელგრადში, რომ იგი ახალი დიდი დადებითი წვლილია, თავისი დიდი შედეგებით და კონსტრუქციულობით შორდება იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩარჩოებს, იძენს უდიდეს და მტკიცე საერთაშორისო მნიშვნელობას.

განსაკუთრებით სასიხარულოა ჩვენთვის გულწრფელი ყურადღება და მეგობრული დამოკიდებულება, რაც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს იუგოსლავი სახელმწიფო მოღვაწეებისადმი საბჭოთა კავშირში მათი ყოფნის დროს, და გულახდილობა, რომლის პირობებშიც მიმდინარეობდა მოლაპარაკება, აგრეთვე ის გულთბილი გულწრფელი შეხვედრა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა მოუწყეს პრეზიდენტ ტიტოს, ამხანაგ კარდელსა და სხვა იუგოსლავ წარმომადგენლებს...

საფრანგეთი

პარიზი, 21 ივნისი. (საკუთარი). პარიზის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდეს ცნობები იმის შესახებ, რომ დამთავრდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება მოსკოვში.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ თავის კომენტარებში აცხადებს, რომ ამ მოლაპარაკების შედეგებსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კრისტიან პინოს ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებთან შეხვედრის შედეგებს შორის „განსაკვირფრებელი კონტრასტია“. „ფრან-ტირერი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად გამოვლინდა ორივე ქვეყნის თვალსაზრისთა მსგავსება მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე, კერძოდ, განიარაღების და გერმანიის საკითხებზე.

ეხება რა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობის შესახებ დეკლარაციას, გაზეთი წერს, რომ ეს დოკუმენტი „თანამშრომლობას სთავაზობს ყველა მოძრაობას, რომლებიც მიზნად ისახავენ სოციალიზმის აშენებას“.

გაზეთი „ფიგარო“ ბეჭდავს ეაშინგტონიდან მიღებულ ოფიციალ ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებმა „ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია ამერიკის მმართველ წრეებში“.

მიესალმება რა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებს, გაზეთი „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების ბელგრადში ყოფნის შემდეგ განმტკიცდა ორივე ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა.

„ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ ორივე საბოლოო დასკვნითს დოკუმენტს უდიდესი კმაყოფილებით შეხვდება საფრანგეთის საზოგადოებრიობა, რომელიც დაინტერესებულია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებით, აგრეთვე საფრანგეთის მთელი მუშათა კლასი, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება მიაჩნია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკის წარმატებად.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მთავრობებმა ნოგები გაუცვალეს ერთმანეთს ინფორმაციის სამსახურის მოწესრიგების შესახებ

ბელგრადის დეკლარაციის შესაბამისად, ამ დღეებში ბელგრადში გაიმართა ნოტების გაცვლა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და სსრ კავშირის მთავრობას შორის ორ ქვეყანას შორის ინფორმაციის სამსახურის მოწესრიგების შესახებ. ნოტები გაცვალეს — იუგოსლავიის მთავრობის სახელით იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დობრივოე ვიდიჩმა, ხოლო საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით — სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ბელგრადში ფ. ნ. გრიაზნოვმა.

ნოტების გაცვლით ორივე მთავრობა შეთანხმდა, რომ მათი ურთიერთობა ინფორმაციის დარგში ემყარებოდეს ინფორმაციის თავისუფლების, სამართლისა და ობიექტურობის პრინციპების პატივისცემას, აგრეთვე ინფორმაციის წყაროების რაც შეიძლება მეტ ხელმისაწვდომობას — იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად მოხდეს ურთიერთ გაცნობა, აზრებისა და სოციალისტური გამოცდილების თავისუფალი გაზიარება, განმტკიცდეს ურთიერთობა, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საერთო საქმე და განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მთავრობები კეთილმოსურნეობით მოეპყრობიან საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთების წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობაში ვალდებულნი არიან პატივი სცენ იმ ქვეყნის კანონებსა და განკარგულებებს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფებიან. შეთანხმება განხორციელდება სრული ნაცვალგების საფუძველზე.

ინდოეთის მთავრობამ ცნო გუნისისა და მაროკოს დამოუკიდებლობა

დელი, 21 ივნისი. (საკუთარი). ინდოეთის მთავრობამ ცნო ტუნისისა და მაროკოს დამოუკიდებლობა.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ წერილები გაუგზავნა ტუნისისა და მაროკოს პრემიერ-მინისტრებს.

სურათზე: ბრაზილიისა და თბილისის ფეხბურთელები მოედანზე მატჩის წინ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

• • •

მატჩი „რიოს ჟონგლიორებთან“

ეს მოკლე სპორტული ტექსტური, თამაშის ანალიზი რიო-დე-ჟანეიროს „ატლეტიკა პორტუგეზის“, ანუ „რიოს ჟონგლიორებსა“ და თბილისის „დინამოს“ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს, ამ გუნდების გუშინდელ ორთაბრძოლას ეხება.

ასეთ მატჩებზე ან, როგორც იტყვიან, „დიდ ფეხბურთზე“ „დინამოს“ სტადიონი ყველა მსურველს ვერ იტევს. ბევრს რადიო მოუთმენთავს ასპარეზობის დაწყების მოლოდინში.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნებზე ადამიანთა სსრ კავშირის, ბრაზილიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები, სტადიონის თავზე ლამაზად ფრიალებს ნაირფერი სპორტული ალმები, მოჩანს წარწერები — სალამი ბრაზილიელ ფეხბურთელებს!

როგორც წესი, საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრებს წინ უძღვის საზეიმო ცერემონიალი. აი ეს შესავალიც. ფეხბურთის მოედნის ცენტრისაკენ მიემართებიან ჩვენი სტუმრები, „ატლეტიკა პორტუგეზის“ სპორტსმენები და თბილისის დინამოელები. სპორტის მოყვარულთა ერთსულოვანი ტაში მიაცილებს მათ.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. საპასუხო მისალმებით გამოვიდა კლუბ „ატლეტიკა პორტუგეზის“ პრეზიდენტი ჯასტრო. დიდებულად ქღერს ბრაზილიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. დინამოელები ბრაზილიელ ფეხბურთელებს თაიგულებს და სამკერდე ნიშნებს უძღვნიან.

მატჩისწინა წვრთნა. გორგის ხმა. ფეხბურთის მარშის ცნობილი მელოდია. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი დ. ბერნარდი (იტალია) მოედანზე იხმობს მოწინააღმდეგეებს. გუნდების კაპიტნებმა სამასსოვრო ვიმპელები გაცვალეს.

თამაში დაიწყო.

პირველი 2 წუთი. თბილისელთა ბერიში მარცხენა ფრთიდან. პირველად მეკარე ანტონინო და სილვამ ამოსნა თავისი გუნდი გოლისგან, მეორეჯერ — ძელმა. მორიგი 2 წუთი. ამჯერად სტუმრებმა დაკარგეს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. პირველმა სხარტი ნახტომით მოიგერია საშინი ბურთი.

ინიციატივა მეტწილად თბილისელთა ბიჯარეზე იყო. სტუმრებმა არ მიიღეს დინამოელთა ტაქტი. თამაშს აკლდა სიმძაფრე, შედეგიც არ ჩანდა.

„ატლეტიკა პორტუგეზის“ მცველთა ხაზი მშვიდად იგერიებდა შეტევებს. ბრძოლაში აქტიურად ებრძოდა მეკარე. ბრაზილიელთა ერთ-ერთი ნახევარმცველი ყოველთვის წინ იყო. თავდამსხმელებში ხშირად 6 ფეხბურთელს ვიკვდავდით, ზოგჯერ კი — 7. მოედნის ცენტრში სტუმართა მიერ გათამაშებული კოთხია, როგორც წესი ფრძელი გადაცემებით მთავრდებოდა. იერიშების დამამთავრებელი ეტაპი თავდამსხმელთა ცენტრალურ სპეციალ ეკუთვნოდა, სადაც ტამორიჩეოდენი მერვე და მეათე ნომრები.

თბილისელებმა ფათვის ჩვეული ტემპი შეაანელეს. თავდამსხმელებმა სწრაფი გარღვევებით მხოლოდ მესხი გამოიჩჩეოდა, ბურთის ფატანის შესაძლებლობებს ვერ იყენებდნენ ზაზროშვილი, ჭკუასელი, გაგნიძე.

21-ე წუთი სტუმართა წარმატებით დამთავრდა. კარისაკენ 4-5 მეტრის მოშორებით სრულიად თავისუფალი აღმოჩნდა სეესარ ლეზორაესი. პირა